

რა იხილა იოანე მოციქულმა გამოცხადებაში



მ ე ხ უ თ ე

და

მ ე ე ქ ვ ს ე

საყვირთა გამოიფვრა

”ნეტარია წამკითხველი და მომსმენი ამ საწინასწარმეტყველო სიტყვისა და მასში დაწერილის დამცველი, რადგან ახლოა ჟამი”.

იოანე 1,3

იოანეს გამოცხადება

მეხუთე საყვირი: თავი 9, აბზაცი 1-2

1 მეხუთე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და ვიხილე ციდან დედამიწაზე ჩამოვარდნილი ვარსკვლავი, და მიეცა მას უფსკრულის ჯურღმულის გასაღები.

2 მან გახსნა უფსკრულის ჯურღმული და ამოვარდა კვამლი ჯურღმულიდან, როგორც დიდი ღუმლის კვამლი, და დაბნელდა მზე და ჰაერი ჯურღმულის კვამლისგან.

განმარტება

1991 წელს 17 იანვარს, სპარსეთის ყურეში ომი დაიწყო. ეს ტერიტორია მდიდარია ნავთობის საბადოებით. ნავთობი მიწიდან - ჯურღმულიდან ამოდის. სადამ ჰუსეინის ბრძანებით, ნავთობის საბადოებს ცეცხლი წაუკიდეს: "ამოვარდა კვამლი ჯურღმულიდან, როგორც დიდი ღუმლის კვამლი, და დაბნელდა მზე და ჰაერი ჯურღმულის კვამლისგან". ასეთი კომენტარები კეთდებოდა საინფორმაციო საშუალებებით. კომენტარი, ერთი ერთში ემთხვევა იოანეს მიერ 2000 წლის წინ გაკეთებულ ჩანაწერს. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, იოანემ გამოცხადებაში იხილა ერაყ-ქუვეითის ომის პერიპეტიები. რაც იხილა, ის ჩაწერა.
სურ. 1, 2, 3, 4



გამოცხადება

თავი 9, აბზაცი 3-10

- 3 კვამლიდან გამოვიდნენ კალიები დედამიწაზე და მიეცათ მათ ძალა, როგორც აქვთ ძალა მიწის მორიელთ.
- 4 ეთქვა მათ, რომ არ დაეზიანებინათ დედამიწის ბალახეულობა, და არავითარი მწვანეულობა და არავითარი ხე, არამედ მხოლოდ ადამიანები, რომელთაც შუბლზე არა აქვთ ღვთის ბეჭედი.
- 5 მიეცათ ნება მათ, არ დაეხოცათ ისინი, არამედ მხოლოდ ეწამებინათ ისინი ხუთ თვეს; და მათი წამება ჰგავს წამებას მორიელისგან, როდესაც უკბენს ადამიანს.
- 6 იმ დღეებში ადამიანები სიკვდილს დაუწყებენ ძებნას, მაგრამ ვერ იპოვიან მას; ინატრებენ სიკვდილს, მაგრამ სიკვდილი გაექცევათ მათ.
- 7 შესახედაობით კალიები წააგვანან საომრად გამზადებულ ცხენებს; მათ თავებზე გვირგვინები, მსგავსი ოქროსი, და მათი სახეები, როგორც ადამიანთა სახეები.
- 8 ჰქონდათ თმები, როგორც დედაკაცთა თმები, ხოლო მათი კბილები იყო, როგორც ლომისანი.
- 9 ჰქონდათ ჯავშანი, როგორც რკინისა, ხოლო მათი ფრთების ხმა, როგორც გრიგალი მრავალი ეტლისა და ცხენისა, საომრად რომ მიიჩქარიან.
- 10 ჰქონდათ კუდები, მსგავსი მორიელთა, და ნესტრები, და მათ კუდებში იყო მათი ხელმწიფება ხუთ თვეს აწამონ ადამიანი.

განმარტება

ომის პერიპეტიების შემდეგ იოანემ გამოცხადებაში იხილა ე.წ. კალიები, რომელსაც დღეს ტელევიზორებს ვუწოდებთ. ტელევიზორები მართლაც არ ავნებენ, არც ბალახს, არც ხეს, არამედ მხოლოდ ადამიანებს. აღნიშნული თავის დეშიფრირება მოხდა 1991 წელს, იმ დროში არსებულ ტელევიზორების მიმღები ანტენები კალიების ფორმის იყო და მრავლად იყვნენ ისინი შესეულნი სახლების სახურავებს. იმ დროის ტელევიზორებს ფეხებიც გააჩნდა როგორც ცხენს. თუ ჩართავთ ტელევიზორს, მის ეკრანზე მართლაც გამოჩნდება სახე როგორც კაცისა, თუ ახდით ტელევიზორს ხუფს, ეკრანის უკან იხილავთ კოჭაზე დახვეულ, დაწნულ მართულს ანუ თმას როგორც აქვს დედაკაცს, თმაში ჩარჭობილს იხილავთ გვირგვინს (ასეთი შიდა მოწყობილობა ჰქონდა ძველი მოდელის ტელევიზორებს). ბეჭდვით დაფებს, ე.წ. "პლატებს" აქვთ კბილები, ტელევიზორის კარკასი ანუ ჯავშანი არის რკინის, ტელევიზორს გვერდებზე დამაგრებულია დინამიკები, ისინი ირხევიან როგორც ფრთები და გამოსცემენ დიდ ხმას, ტელევიზორებს კაბელის სახით აქვს კუდი, როგორც მორიელს და კუდში ნესტარი, ანუ წვრილი მავთული, რომელიც შედის ტელევიზორის ბუდეში. ტელევიზორის მუშაობის ხელმწიფება არის კუდში, ვინაიდან თუ გამოვადრობთ მიმღებ კაბელს ტელევიზორიდან, ის მართლაც აღარ იმუშავებს. ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი

ნივთისგან, ბევრი ზიანი და ვნებაა, რომელიც თანდათან შედის ადამიანში და აბრუებს მას როგორც **მორიელის** შხამი: სისასტიკე, პორნოგრაფია, სოდომის ცოდვის ფარული თუ პირდაპირი პროპაგანდა, პოლიტიზირება, სხვათა განკითხვის მაპროვოცირებელი პროგრამები და მრავალი სხვა გადაცემები, თანდათან ცვლიან ადამიანის ბუნებას და მის სულიერ დეგრადაციას უწყობენ ხელს. კომპიუტერი, ტელევიზორის განვითარებული სახეა. შექმნილია ათასობით კომპიუტერული თამაშები, მოთამაშე ვირტუალურ სივრცეში ხოცავს ხალხს. ამით მოთამაშის ფსიქიკა ეჩვევა მკვლელის როლში ყოფნას. დაფიქსირებულია უამრავი შემთხვევა, როდესაც ასეთი თამაშებით დაკავებული ადამიანები რეალობაში კლავენ ადამიანებს. ფსიქოლოგთა აზრით, მსგავსი თამაშები ხდება რეალური მკვლევლობების მაპროვოცირებელი. შესაბამისად ამ ნივთის აღწერილობა მოხვდა გამოცხადების ტექსტში, როგორც ჩვენი დროის ნეგატიური მოვლენა.

გამოცხადება

თავი 9, აბზაცი 11-12

11 მეფედ ჰყავდა უფსკრულის ანგელოზი, რომელსაც ებრაულად ჰქვია აბადონი, ხოლო ბერძნულად აქვს სახელი აპოლიონი.

12 ერთი უბედურება წავიდა, აჰა, მოდის მის შემდეგ კიდევ ორი.

განმარტება

საომარი ტერიტორიის მახლობლად არის ქალაქი **აბადანი** (იხ. სურ.5). ერაყ-ქუვეითის ომით, აზიის ამ რეგიონში უბედურება არ დამთავრებულა და **აჰა, მოდის კიდევ ორი.**

სურ. 5.



მეხუთე საყვირის განმარტების დასასრული

იოანეს გამოცხადება

მეექვსე საყვირი

თავი 9, აბზაცი 13-16

13 მეექვსე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და მომესმა ერთი ხმა ღვთის წინაშე მდგარი ოქროს სამსხვერპლოს ოთხი რქისგან,

14 ეუბნებოდა მეექვსე ანგელოზს, რომელსაც ჰქონდა საყვირი; "ახსენი ოთხი ანგელოზი, რომლებიც დაბმულნი არიან დიდ მდინარე ევფრატზე."

15 და ახსნილ იქნა ოთხი ანგელოზი, მზად იყვნენ ყოველ საათს და დღეს, თვესა და წელიწადს ადამიანთა მესამედის ამოსაწყვეტად.

16 ცხენოსანთა ჯარის რიცხვი იყო ორასიათასჯერ ათასი და მოვისმინე მათი რიცხვი.

განმარტება

ახლო აღმოსავლეთი, წიაღისეულის - ნავთობისა და გაზის გამო იქცევს სხვადასხვა ქვეყნის ინტერესს. სირიში, სადაც მოედინება დიდი მდინარე ევფრატი რამდენიმე წელია მიმდინარეობს შიდა ომი, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და არაფორმალურ დაჯგუფებებს შორის. უცხო ქვეყნები ფულით და იარაღით ამარაგებენ აჯანყებულებს. სადაც, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ათი ათასობით დაქირავებული უცხოელი ბრძოლობს. უცხო ქვეყანათა მეორე ნაწილი, იარაღით ამარაგებს სამთავრობო ჯარებს. დაპირისპირებული მხარეები ასე გამოიყურებიან. **პირველი მხარე:** ოკეანეს გაღმა - წყლიდან ამომავალი - უდიდესი ძალის მქონე ქვეყანა, აშშ და მისი მეგობარი ქვეყნები, მათი მთავრობანი; ისრაელი, ევროპის და აზიის რამდენიმე ქვეყანა, ნატოს ბლოკი. **მეორე მხარე:** უდიდესი სიძლიერის ქვეყანა - რუსეთი (რომელმაც მიწიდან ამომავალი, გაზისა და ნავთობის ხარჯზე გამდიდრდა) და მისი მეგობარი ქვეყნები, მათი თავნი. ისინი ძირითადად აზიური ქვეყნებია, თავად სირიის ოფიციალური ხელისუფლების ჩათვლით. ამ ორი დაპირისპირებული მხარის ძირითადი ინტერესი ენერგომატარებლები და რა თქმა უნდა, მათი სატრანზიტო გზებია, სადაც, სირია ერთ-ერთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიას წარმოადგენს. და თუ 1991 წელს ერაც-ქუვეითის ომი სწრაფად დამთავრდა. ამჟამად მიმდინარე კონფლიქტი ხანგრძლივი იქნება. ამის მიზეზი დაპირისპირებულ მხარეთა ძალების თანაფარდობაში უნდა ვეძებოთ. 1991 წელს, ომში ჩაერია უძლიერესი შეიარაღების მქონე აშშ სადამ ხუსეინის ჯარს, არანაირი ძალა არ გააჩნდა, ამ გიგანტის შესაჩერებლად. დღეს სიტუაცია შეიცვალა. განვლილ 20 წელიწადში, რუსეთმა, მიწიდან ამომავალი გაზისა და ნავთობის ექსპორტის ხარჯზე, გააუმჯობესა თავისი ეკონომიური და სამხედრო პოტენციალი. შესაბამისად დღეს სირიაში ორ დაპირისპირებულ მხარეს, ეხმარება ორი დიდი ქვეყანა

(თავის მეგობარ ქვეყნებთან ერთად), რაც აჭიანურებს კონფლიქტის დასრულებას. სირიის კონფლიქტში დაჭრილთა, მოწამლულთა და დაღუპულთა რიცხვმა 200000-ს გადააჭარბა. მათ შორის, მრავალია მშვიდობიანი მოსახლეობა. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ სირია ბიოლოგიური და ქიმიური იარაღს აწარმოებს

სურ. 6. სირია. წითელად მონიშნულია არეალი, რომელიც შეიძლება მოიცვას სირიის ქიმიურმა იარაღმა



მეექვსე სურათზე, სირიის გარშემო წითელ ფერით წარმოდგენილი ტერიტორია, არის ის არეალი, სადაც სირიიდან გასროლილი ბიოლოგიური, ქიმიური თუ სხვა ტიპის იარაღს შეუძლია მიღწევა. დაფარვის არეალი, ციფრებში დაახლოებით 700 კილომეტრს უტოლდება. ეს, ორი წლის წინანდელი მონაცემებია, ტექნიკის განვითარების პარალელურად, ეს არეალი დედამიწის ოთხივე მხარეს კიდევ უფრო იზრდება. ქიმიურ იარაღს სირიელი მწარმოებლები ამონტაჟებენ ჭურვებში, რომლებიც მაგრდება სამხედრო თვითმფრინავებზე, რაც ხელს უწყობს სამხედრო მოქმედებების დაფარვის არეალის ზრდას. სამწუხაროდ, სიტუაცია მზად არის სავალალო განვითარებისთვის. განმარტებაში მუქად მოცემულ სიტყვებსა და გამოცხადებას შორის აშკარა თანხვედრაა. კიდევ ერთხელ წავიკითხოთ გამოცხადება.

თავი 9, აბზაცი 14-16

14 ეუბნებოდა მეექვსე ანგელოზს, რომელსაც ჰქონდა საყვირი; "ახსენი ოთხი ანგელოზი, რომლებიც დაბმულნი არიან დიდ მდინარე ევფრატზე."

15 და ახსნილ იქნა ოთხი ანგელოზი, მზად იყვნენ ყოველ საათს და დღეს, თვესა და წელიწადს ადამიანთა მესამედის ამოსაწყვეტად.

16 ცხენოსანთა ჯარის რიცხვი იყო ორასი ათასჯერ ათასი და მოვისმინე მათი რიცხვი.

სურ. 7. ქიმიური იარაღის ცენტრები სირიაში



სურ. 8. ქიმიური იარაღისთვის გამოყენებული მომწამვლელი გაზები



სპეცსამსახურების მონაცემებით, სირიას აქვს ათასობით ქიმიური ჭურვი, რომელიც ნებისმიერ დროს შეუძლია დაამონტაჟოს თვითმფრინავებზე: სუ-22, სუ-24, მიგ-23 და გამოიყენოს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ. საქმეს ართულებს ისიც რომ, სირიას არ აქვს ხელი მოწერილი ქიმიური იარაღის გამოყენებლობის შესახებ არსებულ, საერთაშორისო კონვენციაზე. ეს სიტუაცია

ყველაზე რეალურ საფრთხეს უქმნის ისრაელს, რომლის აზრით, თუ სირია დაკარგავს კონტროლს ქიმიურ იარაღზე და ის აღმოჩნდება "ხესბოლას" დაჯგუფების ხელში, მაშინ, ომი, ორ ქვეყანას შორის გარდაუვალია. ჯერჯერობით, მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ არა, მაგრამ შიდა დაპირისპირებისას ქიმიური იარაღი სირიელებმა გამოიყენეს, რომელიც საშინელი შედეგით დამთავრდა. გარდაიცვალა ასობით ადამიანი, მათ შორის უამრავი ბავშვი.

სურ. 8 ქიმიური იარაღის შედეგად გარდაცვლილი მოსახლეობა



თავი 9, აბზაცი 17-18

17 ასეთ ჩვენებაში ვიხილე ცხენები და მხედრები, რომელთაც ქონდათ ცეცხლოვანი, ცისფერი და გოგირდოვანი ჯავშანები, და ცხენის თავები როგორც ლომთა თავები და მათ პირთაგან გამოდიოდა ცეცხლი, კვამლი და გოგირდი.

18 ამ სამი წყლულებისგან - ცეცხლის, კვამლის და გოგირდისაგან, რომლებიც მათ პირისაგან გამოდიოდა, დაიხოცა ადამიანთა მესამედი ნაწილი.

განმარტება

იოანემ გამოცხადებაში იხილა სამხედრო მანქანები და აღწერა როგორც ცხენები. იხილა მანქანაზე დამონტაჟებული ჭურვები და რაკეტები, და აღწერა როგორც მხედრები. არსებობს მრავალი ტიპის თანამედროვე სამხედრო მანქანები, რომელთა ჯავშანის

შეფერილობა სხვადასხვა ფერია და სახე მათი ძლიერია, ვითარცა ლომთა თავები. რაკეტის გასროლისას მართლა გამოდის მათ პირიდან ცეცხლი, კვამლი და გოგირდი, რომლისგანაც იხოვებიან ადამიანები. ქვედა სურათებზე წარმოდგენილია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული სამხედრო მანქანები. იერსახით ყველა ჰგავს ერთმანეთს. ნაწილი მათი მონაწილეობს სირიის საომარ მოქმედებაში.

სურ. 9. ცხენები და მათი მხედრები. და მათი სახე როგორც ლომთა თავები



სურ.10. ჯავშანი მათი სხვადასხვა ფერი



სურ. 11. მათი პირიდან გამომავალი ცეცხლით, კვამლით და გოგირდით, დაიხოცნენ ადამიანები



თავი 9, აბზაცი 19

19 ვინაიდან ცხენთა ძალა მათ პირთა და მათ კუდებშია; ხოლო მათი კუდები ჰგავდნენ გველებს და ქონდათ თავები, რომლითაც ხალხს ვნებდნენ.

განმარტება

გასროლის შემდეგ, რაკეტა, კვამლის სახით ტოვებს გველის ფორმის კუდს, ხოლო კუდს ქონდა თავი, (ანუ რაკეტა) რომლითაც ხალხს ვნებდნენ.

სურ. 12. გასროლილი რაკეტისა და გველის შედარებები







სურათზე კარგად ჩანს რაკეტების ანუ გველის თავის ჩამოვარდნის ადგილების შედეგები.

თავი 9, აბზაცი 20-21

20 დანარჩენმა ადამიანებმა კი, რომლებიც ამ წყლულებით არ დახოცილან, არ მოინანიეს თავიანთი ხელის ნამოქმედარნი, რომ თავყვანი არ ეცათ ეშმაკებისათვის, ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ქვის და ხის კერპებისათვის, რომელთაც არც ხილვა შეუძლიათ, არც მოსმენა და არც სიარული.

21 არ მოინანიეს თავიანთი ჩადენილი მკვლელობანი, არც თავიანთი გრძნეულებანი, არც თავიანთი მეძავობა, არც თავიანთი ქურდობანი.

განმარტება

რთული ამოსაცნობი არ არის, ეს ორი აბზაცი, აღნიშნული ომის შემდეგ ცხოვრება გრძელდება, ადამიანი ზნეობრივად კიდევ უფრო ეცემა - სცოდავს და არ ინანიებს ჩადენილს.

მეექვსე საყვირის განმარტების დასასრული

მიიღია იოანეს გამოცხადების დიდი ნაწილი. ექვსი საყვირი აღსრულდა. მეშვიდე - უკანასკნელი საყვირის მოსვლამდე, გამოცხადებაში აღწერილია რამდენიმე აპოკალიფსური მოვლენა და პიროვნება:

იოანე ღვთისმეტყველის მისიის აღმსრულებელი ადამიანი.

2 ღვთის მოწმე - რომელსაც მიეცემა ხელმწიფება წყლებზე.

მხეცი - რომელიც ამ ორს დახოცავს.

შემდგომ ამისა, იოანე მოგვითხრობს მეშვიდე- უკანასკნელი საყვირის შესახებ.

თავი 11, აბზაცი 15

15 მეშვიდე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და გაისმა ცაში დიდი ხმები, რომლებიც ამბობდნენ: "წუთისოფლის სამეფო გახდა ჩვენი უფლისა და მისი ქრისტესი, და იმეფებს იგი უკუნითი უკუნისამდე".

ა მ ი ნ !

დანო და ძმანო, მოვინანიოთ, რადგან ახლოა ცათა სასუფეველი. მომიტვეთ ცოდვანი. მომიტვეთ, თუ რამ მიწყენინებია ნებსით თუ უნებლიედ. და როს მოხვდებით ღმერთთან შემაწიეთ სიტყვა, მომიხსენიეთ ლოცვაში, მონა ღვთისა და მცირედი ძმა თქვენი.

პატივისცემით გიზო ვაშაკიძე

02.02. 2015 წ.

P.S. მე, ასე განვჭვრიტე და მოგაწოდეთ, თუ ვინმემ უკეთესად განჭვრიტოს, მას მოუსმინეთ.